ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N№/15-022

ქ. ბათუმი

16 თებერვალი 2015 წელი

ერთის მხრივ, **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ბათუმის ფილიალის დირექტორის თორნიკე თუთარაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი”), საქართველოს მთავრობის, 2011 წლის 21 იანვრის, #26 დადგენილებისა და სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის, **დამტვირთავ–ექსკავატორის JCB 3CX SUPER (ვინ–კოდი JCB3CX4WT02259607, გამოშვების წელი 2013, სახ.# VV-208) მარჯვენა კარის შუშის** (შემდგომში–საქონელი) მოწოდება.

კლასიფიკატორი – **CPV34390000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **920** (ცხრაასოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დ.ღ.გ.–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ საწყობის გამგე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს **10** დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის და მისი თანმდევი მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სანდასუფთავების“ მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის უფროსი.

6.2. ინსპექტირების მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	შპს ,,თეგეტა მოტორსი“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. თბილისი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ #5
ს/კოდი 245548153	ს/კოდი: 202177205
სს ,,ლიბერთი ბანკი“	სს ,,თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE14LB0610005734020009	ა/ა GE80TB0600000024467853
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს ,,თეგეტა მოტორსი“**
დირექტორი	**ბათუმის ფილიალის დირექტორი**
დავით ასამბაძე	**თორნიკე თუთარაშვილი**

შპს თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS LTD

№0014
05.01.2015 წ

მინდობილობა

შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ენდობა ამავე საზოგადოების ბათუმის ფილიალის დირექტორს თორნიკე თუთარაშვილს (პირადობის მოწმობა №გ 0660955) მასზედ, რომ მას აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ნარდობის, მომსახურეობის ხელშეკრულებებზე. ასევე უფლება აქვს იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს ოჯარის ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს ცვლილება მასში. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პირადი ხელმოწერა (თორნიკე თუთარაშვილი).....

პირადი ნომერი: 18001034144

მისამართი:ზესტაფონი, ს. მეორე სვირი

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება: ზესტაფონის მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური

გაცემის თარიღი:06.04.2005წ

ამტკიცებს,
შპს“თეგეტა მოტორსის“
გენერალური დირექტორი

TEGETA MOTORS

თემურ კოხოძე

ბულევარი 12-ის, 0131 ქ. თბილისი
ტელ.: +995(032)224 44 44
ფაქსი: 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

"TBC - ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
IBAN: GE60TB0000000024447800
მიმღები: შპს "თეგეტა მოტორსი"
საბანკო რეკვიზიტები:
GE60TB0000000024447800
SWIFT: TBCBGE22930
BENE Account: GE83TB0000000091070209
NAME OF BENEFICIARY: TEGETA MOTORS LTD

12-ის, 12-ის ქ. ჩოხოკარდიას ავ.
0131 Tbilisi, Georgia
Tel: +995(32) 224 44 44
Fax: +995(32) 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia